საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
Territorial Entity of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia - Borjomi
Educational Resource Center

08/12/2025

MES 9 25 0001741473

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონი ნათია ,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს:

ა) ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სულ 12 მოთხოვნა შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 12 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 8 მოთხოვნა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ მომხდარა.

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,ზ'' პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. მის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ

მიღებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ამასთან ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	12
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა	0
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება	0
საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე მოთხოვნა	0
პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე მოთხოვნა	0
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	8
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულიგადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0

პატივისცემით,

ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ჯომარდიძე ნინა

უფროსი სპეციალისტი
ჯომარდიძე ნინა